ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**№92. 92231678**

თარიღი:**16/06/2023**

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭოების მიერ ინიცირებული საპროექტო განაცხადების დაფინანსების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.ე" ქვეპუნქტის, "ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის #27 დადგენილებისა და "ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ახალგაზრდული საბჭოების ინიცირებული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის #31 დადგენილების შესაბამისად,

ვბრძანებ:

მუხლი 1. გამოიყოს თანხა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭოების ინიციატივების დაფინანსების/თანადაფინანსების პროგრამიდან (05 04) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭოების მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსების/თანადაფინანსების მიზნით სულ 38 508 ლარის ოდენობით.
/საფუძველი: *"ბიუჯეტით გათვალისწინებული ახალგაზრდული საბჭოების ინიცირებული პროექტების დაფინანსების/თანადაფინანსების კომისიის" 2023 წლის 6 ივნისის # 92-922315787 მომართვა და კომისიის ოქმი/*
მუხლი 2. დაევალოს "ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურს", განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ღონისძიებები, რაც საჭიროა ახალგაზრდული საბჭოების მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელების მიზნით, დანართის შესაბამისად.
მუხლი 3. ბრძანების პირველი მუხლით განსაზღვრული პროცედურის აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის "საფინანსო სამსახურს".
მუხლი 4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
მუხლი 5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ჯონდო მდივნიშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი